24 სექტემბერი – ენების ევროპული დღე

ღონისძიების ჩატარების ადგილი: თბილისის კლასიკური გიმნაზია
ღონისძიების ხანგრძლივობა: 10:00 – 17:00 სთ.
რეგისტრაციის დაწყების დრო: 10:00

ღონისძიებაში მონაწილეობა შეუძლიათ
სკოლის მოსწავლეებს 8-დან 18 წლამდე.

აქტივობებში მონაწილეობისათვის უცხოური
ენის ცოდნა არ არის სავალდებულო!

შეთავაზებულ ღონისძიებათა ჩამონათვალი და მოკლე აღწერა:

საინფორმაციო კუთხეები	საინფორმაციო კუთხეებთან საქართველოში მოღვაწე ენების სასწავლო ცენტრებისა და ინსტიტუტების წარმომადგენლები გაგაცნობენ ინფორმაციას მათ მიერ შემოთავაზებული ენის კურსებისა და პროგრამების შესახებ.
გასართობი და შემეცნებითი აქტივობები "მხიარული ავტობუსი / funbus-"ის შემქმნელებისგან	აღმოაჩინეთ სხვადასხვა სახალისო მოძრავი და შემეცნებითი თამაში სკოლის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე.
უცხოური ენის ვორკშოპები	უცხოური ენის ვორკშოპები შესაძლებლობას გაძლევთ გამოცადოთ თქვენი თავი იტალიურ, ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, ბერძნულ, ესპანურ,პორტუგალიურ, თურქულ და პოლონურ ენებში. დაეუფლეთ არრეული ენის საბაზისო უნარებს სხვადასხვა ინტერაქციული, მხიარული დავალების შესრულების გზით.
ცეკვის ვორკშოპები	ცეკვის ვორკშოპები შესაძლებლობას გაძლევთ გამოცდილი მენტორის დახმარებით დაეუფლოთ სხვადასხვა ცნობილი ევროპული ცეკვისა და ჰიპ-ჰოპის ქორეოგრაფიულ ელემენტებს.
კარაოკე ვორკშოპი	კარაოკე ვორკშოპი შესაძლებლობას გაძლევთ გამოცადოთ თქვენი ვოკალური მონაცემები. შეასრულეთ ყველასათვის კარგად ცნობილი სიმღერები მხიარულ მენტორებთან და თქვენს მეგობრებთან ერთად გერმანულ, ინგლისურ, ფრანგულ და იტალიურ ენებზე.
კონკურსი ნორჩი მწერლებისთვის	მიეცით თქვენს ფანტაზიას გასაქანი! მას ხომ საზღვრები არ აქვს?! დაწერეთ პატარა მოთხრობა (ქართულ ენაზე) მოცემული სიტყვების გამოყენებით და მოიგეთ ლეპ-ტოპი!
ვორკშოპი "ინტერკულტურული კომუნიკაცია და უხერხული შემთხვევები"	აპირებთ მოგზაურობას ან სხვა მიზეზით ქვეყნიდან გასვლას? გაინტერესებთ, როგორ მოქმედებენ სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები ერთასა და იმავე სიტუაციებში? როგორ ესალმებიან ისინი ერთმანეთს? რა ჟესტებს იყენებენ ურთიერთობისას? მაშინ ეს ვორკშოპი თქვენთვისაა. იგი დაგეხმარებათ თავიდან აიცილოთ არასწორი ქმედებით გამოწვეული უხერხული სიტუაციები.
კითხვისა და ხელოვნების სახელოსნოები	მოისმინეთ საინტერესო ზღაპარი თუ ისტორია თქვენთვის სასურველ ენაზე და ამ ისტორიების მიხედვით თვითონ შექმენით ხელოვნების ნიმუშები.
ვორკშოპი "გვესაუბრე ჩვენც"	გაქვთ სურვილი და ინტერესი გაეცნოთ ჟესტების ენას, რომლითაც სმენის პრობლემის მქონე ადამიანები ესაუბრებიან ერთმანეთს?! მაშინ ეს ვორკშოპი თქვენთვისაა! 203-ე საჯარო სკოლის მოსწავლეები (სმენის პრობლემების მქონე მოსწავლეთა სკოლა) თავად შეგასწავლიან ჟესტების ენაზე უმნიშვნელოვანეს საკომუნიკაციო ფორმულებსა და ცნებებს!
ხატვის ვორკშოპი	დაეუფლე ხატვის ხელოვნებას დანტე ალიგიერის საზოგადოება-თბილისის კომიტეტთან არსებული ხელოვნების სკოლაში მოღვაწე მენტორების დახმარებით.
მონაწილეთა დაჯილდოვების ცერემონიალი	ვიქტორინა ევროპისა და ნორჩი მწერლების კონკურსის გამარჯვებულ მონაწილეებს საზეიმოდ გადაეცემათ ლეპ-ტოპები და უფასო ენის კურსის ვაუჩერები.

დრო	აქტივობები და მათი ჩატარების ადგილები				
10:00 - 11:00	მონაწილეთა რეგისტრაცია ფოიეში				
11:00 - 11:30	ღონისძიების გახსნა				
	აუდიტორია 112	აუდიტორია 113	აუდიტორია 108	აუდიტორია 109	საქტო დარბაზი
11:30 - 12:00	კითხვისა და ხელოვნების სახელოსნო (ინგლისური) 8-14 წლის მოსწავლეები	კონკურსი ნორჩი მწერლებისთვის (14-18 წლის მოსწავლეები)	უცხოური ენის ვორკშოპი (იტალიური) 8-11 წლის მოსწავლეები	უცხოური ენის ვორკშოპი (ფრანგული) 8-11 წლის მოსწავლეები	
12:00 - 12:30			უცხოური ენის ვორკშოპი (იტალიური) 12-18 წლის მოსწავლეები	უცხოური ენის ვორკშოპი (ფრანგული) 12-18 წლის მოსწავლეები	ცეკვის ვორკშოპი
12:30 - 13:00	კითხვისა და ხელოვნების სახელოსნო (ფრანგული) 8-14 წლის მოსწავლეები				
13:00 - 13:30		ხატვის ვორკშოპი 8-14 წლის მოსწავლეები	უცხოური ენის ვორკშოპი (გერმანული) 8-11 წლის მოსწავლეები	უცხოური ენის ვორკშოპი (ინგლისური) 8-11 წლის მოსწავლეები	ცეკვის ვორკშოპი
13:30 - 14:00			უცხოური ენის ვორკშოპი (გერმანული) 12-18 წლის მოსწავლეები	უცხოური ენის ვორკშოპი (ინგლისური) 12-18 წლის მოსწავლეები	
14:00 - 14:30	ლანჩი				
14:30 - 15:00	კითხვისა და ხელოვნების სახელოსნო (გერმანული) 8-14 წლის მოსწავლეები	ვორკშოპი "ინტერკულტურული კომუნიკაცია და უხერხული შემთხვევები" (12-18 წლის მოსწავლეები)	უცხოური ენის ვორკშოპი (პორტუგალიური) 8-11 წლის მოსწავლეები	უცხოური ენის ვორკშოპი (თურქული) 8-11 წლის მოსწავლეები	კარაოკე (გერმანული, ფრანგული, იტალიური, ინგლისური) (ხანგრძლივობა: 45 წთ.)
15:00 - 15:30		ვორკშოპი "ინტერკულტურული კომუნიკაცია და უხერხული შემთხვევები" (12-18 წლის მოსწავლეები)	უცხოური ენის ვორკშოპი (პორტუგალიური) 12-18 წლის მოსწავლეები	უცხოური ენის ვორკშოპი (თურქული) 12-18 წლის მოსწავლეები	
15:30 - 16:00	ვორკშოპი "გვესაუბრე ჩვენც"			უცხოური ენის ვორკშოპი (ბერძნული)	
16:00 - 16:30	ვორკშოპი "გვესაუბრე ჩვენც"	უცხოური ენის ვორკშოპი (პოლონური) 8-11 წლის მოსწავლეები	უცხოური ენის ვორკშოპი (ესპანური) 8-11 წლის მოსწავლეები	არტ-თერაპია 8-14 წლის მოსწავლეები	
16:30 - 17:00	ვორკშოპი "გვესაუბრე ჩვენც"	უცხოური ენის ვორკშოპი (პოლონური) 12-18 წლის მოსწავლეები	უცხოური ენის ვორკშოპი (ესპანური) 12-18 წლის მოსწავლეები		
17:00	გამარჯვებულთა დაჯილდოვება. ღონისძიების დასასრული				

მთელი დღის განმავლობაში მოსწავლეებს გაართობს "მხიარული ავტობუსის/funbus"-ის მიერ წარმოდგენილი თამაშები და სხვა ფიზიკური და შემეცნებითი აქტივობები სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ფოიეში, საინფორმაციო კუთხეებთან, მთელი დღის განმავლობაში, შეგიძლიათ მიიღოთ ინფორმაცია საქართველოში სხვადასხვა ენის სწავლა-სწავლების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

ვორკშოპებს შორის არსებული თავისუფალი წუთები შეგიძლიათ გაატაროთ ინტელექტუალური სამაგიდო თამაშების კუთხეებთან, რომლებიც მთელი დღის განმავლობაში ფოიეში იქნება განთავსებული.